



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მახრასებრნი

მახრასებრნი, ბოსტანასებრნი (Gryllotalpidae), მწერების ოჯახი სწორფრთიანთა რიგისა. ოჯახში 50-ზე მეტი სახეობაა და გავრცელებულია ყველა კონტინენტზე ანტარქტიდის გარდა. საქართველოში გვხვდება სამი სახეობა: ჩვეულებრივი მახრა, ანუ ბოსტანა (Gryllotalpa gryllotalpa), ველის მახრა (Gryllotalpa steposa) და ერთქიცვიანი მახრა (Gryllotalpa unispina). ცხოვრობენ ტენიან ნიადაგში, აზიანებენ მინდვრის, ბოსტნისა და ბაღის კულტურებს, ხემცენარეებს, განსაკუთრებით სანერგე მეურნეობაში. იკვებებიან ძირითადად ფესვებით, ძირხვენებით, თესლით, ღეროებითა და ახალგაზრდა აღმონაცენით. მ-თა სრულ განვითარებას საქართველოში ერთი წელი სჭირდება.

ა. ბუხნიკაშვილი
